

## უფასო სასააღიარებელი მომსახურების პროგრამა

### მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის (შემდგომში "ბენეფიციარი") ყოველდღიურად უფასო სადილით უზრუნველყოფა.

### მუხლი 2. სამიზნე ჯგუფი და პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევის წესი

1. პროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და აკმაყოფილებენ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კრიტერიუმს მაინც:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს.

ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი შვილი), რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

2. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს (კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში) განსაზღვრავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით შექმნილი სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფი.

3. სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფი განიხილავს მოქალაქის განცხადებას განმცხადებლის მიერ შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში:

ა) განცხადება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში);

დ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);

4. პროგრამით გათვალისწინებულია 1 800 (ერთი ათას რვაასი) ბენეფიციარის დაკმაყოფილება.

5. გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

### მუხლი 3. პროგრამის განხორციელების პერიოდი

1.პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.ბენეფიციარებისთვის შეთავაზებული იქნება ზამთრის (1 ოქტომბრიდან 30 ივნისის ჩათვლით) და ზაფხულის (1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით) მენიუები.

#### **მუხლი 4. პროგრამის განხორციელების მექანიზმი**

1.მოქალაქის პროგრამაში ჩართვის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პასუხისმგებელი სამსახური კონტრაქტორ კომპანიას (ტენდერში გამარჯვებული კომპანია) წერილობით უგზავნის ბენეფიციარების სიას.

2.პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეების სადილით უზრუნველყოფა განხორციელდება სასააღილოების ქსელის საშუალებით.

3.ქალაქში იფუნქციონირებს ოთხი უფასო სასააღილო და განთავსებული იქნება შემდეგ ტერიტორიაზე:

- ა)მტკვრის მარცხენა სანაპირო (1 სასააღილო);
- ბ)მტკვრის მარჯვენა სანაპირო (2 სასააღილო. ტერიტორიის სიდიდის გათვალისწინებით);
- გ)ჭყონდიდელის დასახლება (1 სასააღილო).

4.პროგრამით მოსარგებლეთა აღრიცხვა ყოველთვიურად ხორციელდება სასააღილოებში შესაბამის სააღრიცხვო ჟურნალებში.

#### **მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი**

1.უფასო სასააღილოებით მომსახურების პროგრამის ბიუჯეტია 965 514,00 (ცხრაას სამოცდახუთი ათას ხუთას თოთხმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი, მათ შორის 2017 წლის დეკემბრის ხარჯი შეადგენს 25 514,00 (ოცდახუთი ათას ხუთას თოთხმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს. უფასო სასააღილოებით მომსახურების პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელიც გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ბიუჯეტი	965 514,00 ლარი
I კვარტალი	260 514,00 ლარი
II კვარტალი	235 000,00 ლარი
III კვარტალი	235 000,00 ლარი
IV კვარტალი	235 000,00 ლარი

#### **მუხლი 6. პროგრამის შედეგი**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის დღეში ერთხელ საკვებით რეგულარული უზრუნველყოფა.

## **მუხლი 7. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

### **ნინო ქვირია**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის  
პირველადი სტრუქტურული ერთეულის  
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური  
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი